

# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23  
2019 წლის 26 სექტემბერი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 დეკემბრის №43 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 19/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.118.016262) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

შუქურა ჯაფარიძე

დანართი

## თავი I

### ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

## მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                         |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები             | 8,587.9         | 6,571.6         | 3,038.6                                               | 3,533.0              | 11,568.0        | 7,261.8                                               | 4,306.2              |
| გადასახადები            | 255.5           | 327.9           | 0.0                                                   | 327.9                | 3,965.5         | 0.0                                                   | 3,965.5              |
| გრანტები                | 7,960.5         | 6,094.0         | 3,038.6                                               | 3,055.4              | 7,354.1         | 7,251.1                                               | 103.0                |
| სხვა შემოსავლები        | 371.9           | 149.7           | 0.0                                                   | 149.7                | 248.4           | 10.8                                                  | 237.7                |
| ხარჯები                 | 2,715.9         | 2,992.7         | 27.6                                                  | 2,965.1              | 3,623.5         | 163.2                                                 | 3,460.3              |
| შრომის ანაზღაურება      | 876.0           | 1,047.8         | 0.0                                                   | 1,047.8              | 1,157.0         | 0.0                                                   | 1,157.0              |
| საქონელი და მომსახურება | 966.2           | 955.8           | 0.0                                                   | 955.8                | 1,325.5         | 83.2                                                  | 1,242.3              |
| პროცენტი                | 0.9             | 52.5            | 0.0                                                   | 52.5                 | 30.2            | 0.0                                                   | 30.2                 |
| სუბსიდიები              | 659.7           | 710.3           | 0.0                                                   | 710.3                | 780.6           | 0.0                                                   | 780.6                |



|                                 |         |         |         |        |          |          |         |
|---------------------------------|---------|---------|---------|--------|----------|----------|---------|
| გრანტები                        | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 114.6   | 112.8   | 27.6    | 85.2   | 175.6    | 80.0     | 95.6    |
| სხვა ხარჯები                    | 98.5    | 113.6   | 0.0     | 113.6  | 154.6    | 0.0      | 154.6   |
| საოპერაციო საღდო                | 5,872.0 | 3,578.9 | 3,011.0 | 567.8  | 7,944.5  | 7,098.6  | 845.9   |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 6,016.0 | 4,053.8 | 3,363.4 | 690.4  | 9,665.8  | 8,357.4  | 1,308.4 |
| ზრდა                            | 6,050.2 | 4,113.8 | 3,363.4 | 750.5  | 9,680.8  | 8,357.4  | 1,323.4 |
| კლება                           | 34.2    | 60.1    | 0.0     | 60.1   | 15.0     | 0.0      | 15.0    |
| მთლიანი საღდო                   | -144.0  | -474.9  | -352.4  | -122.5 | -1,721.3 | -1,258.8 | -462.5  |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | -181.2  | -474.9  | -352.4  | -122.5 | -1,721.3 | -1,258.8 | -462.5  |
| ზრდა                            | 34.1    | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 34.1    | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| კლება                           | 215.3   | 474.9   | 352.4   | 122.5  | 1,721.3  | 1,258.8  | 462.5   |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 215.3   | 474.9   | 352.4   | 122.5  | 1,721.3  | 1,258.8  | 462.5   |
| ვალდებულებების ცვლილება         | -37.2   | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| ზრდა                            | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| კლება                           | 37.2    | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| საშინაო                         | 37.2    | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |
| ბალანსი                         | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0    | 0.0      | 0.0      | 0.0     |

**მუხლი 2. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება                   | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                              |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                              |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები                 | 8,622.1         | 6,631.7         | 3,038.6                                               | 3,593.1              | 11,583.0        | 7,261.8                                               | 4,321.2              |
| შემოსავლები                  | 8,587.9         | 6,571.6         | 3,038.6                                               | 3,533.0              | 11,568.0        | 7,261.8                                               | 4,306.2              |
| არაფინანსური აქტივების კლება | 34.2            | 60.1            | 0.0                                                   | 60.1                 | 15.0            | 0.0                                                   | 15.0                 |
| გადასახდელები                | 8,803.4         | 7,106.6         | 3,391.0                                               | 3,715.6              | 13,304.3        | 8,520.6                                               | 4,783.7              |
| ხარჯები                      | 2,715.9         | 2,992.7         | 27.6                                                  | 2,965.1              | 3,623.5         | 163.2                                                 | 3,460.3              |



|                             |               |               |               |               |                 |                 |               |
|-----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|-----------------|-----------------|---------------|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,050.2       | 4,113.8       | 3,363.4       | 750.5         | 9,680.8         | 8,357.4         | 1,323.4       |
| ვალდებულების კლება          | 37.2          | 0.0           | 0.0           | 0.0           | 0.0             | 0.0             | 0.0           |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>      | <b>-181.2</b> | <b>-474.9</b> | <b>-352.4</b> | <b>-122.5</b> | <b>-1,721.3</b> | <b>-1,258.8</b> | <b>-462.5</b> |

### მუხლი 3. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის შემოსავლები 11,568.0 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება         | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|--------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                    |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                    |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| <b>შემოსავლები</b> | <b>8,587.9</b>  | <b>6,571.6</b>  | <b>3,038.6</b>                                        | <b>3,533.0</b>       | <b>11,568.0</b> | <b>7,261.8</b>                                        | <b>4,306.2</b>       |
| გადასახადები       | 255.0           | 327.9           | 0.0                                                   | 327.9                | 3,965.5         | 0.0                                                   | 3,965.5              |
| გრანტები           | 7,960.5         | 6,094.0         | 3,038.6                                               | 3,055.4              | 7,354.1         | 7,251.1                                               | 103.0                |
| სხვა შემოსავლები   | 371.9           | 149.7           | 0.0                                                   | 149.7                | 248.4           | 10.8                                                  | 237.7                |

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის გადასახადები 3,965.5 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება                                    | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|-----------------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                                               |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                                               |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| <b>გადასახადები</b>                           | <b>255.5</b>    | <b>327.9</b>    | <b>0.0</b>                                            | <b>327.9</b>         | <b>3,965.5</b>  | <b>0.0</b>                                            | <b>3,965.5</b>       |
| საშემოსავლო გადასახადი                        | 22.3            | 34.2            | 0.0                                                   | 34.2                 | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  |
| ქონების გადასახადი                            | 233.2           | 293.7           | 0.0                                                   | 293.7                | 250.0           | 0.0                                                   | 250.0                |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 210.2           | 264.9           | 0.0                                                   | 264.9                | 240.0           | 0.0                                                   | 240.0                |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)      | 0.0             | 0.2             | 0.0                                                   | 0.2                  | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 2.1             | 2.6             | 0.0                                                   | 2.6                  | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         | 10.2            | 9.7             | 0.0                                                   | 9.7                  | 2.0             | 0.0                                                   | 2.0                  |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე      | 10.8            | 16.3            | 0.0                                                   | 16.3                 | 8.0             | 0.0                                                   | 8.0                  |
| <b>დ. ლ. გ.</b>                               | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>                                            | <b>0.0</b>           | <b>3,715.5</b>  | <b>0.0</b>                                            | <b>3,715.5</b>       |



## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7,354.1 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება                                                                        | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>გრანტები</b>                                                                   | <b>7,960.5</b>  | <b>6,094.0</b>  | <b>7,354.1</b>  |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები       | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი                                        | 7,960.5         | 6,094.0         | 7,354.1         |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები                                             | 2,786.7         | 3,055.4         | 496.2           |
| გათანაბრებითი ტრანსფერი                                                           | 2,692.1         | 2,952.4         | 0.0             |
| მიზნობრივი ტრანსფერი                                                              | 94.6            | 103.0           | 496.2           |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| <b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>                                          | <b>5,173.8</b>  | <b>3,038.6</b>  | <b>6,857.9</b>  |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი                                     | 4,782.6         | 2,630.2         | 5,912.3         |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                                                       | 0.0             | 0.0             | 608.0           |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი                                       | 335.2           | 328.4           | 337.6           |
| სხვა პროექტები                                                                    | 56.0            | 80.0            | 0.0             |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 248.4 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება                                                                        | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>სხვა შემოსავლები</b>                                                           | <b>371.9</b>    | <b>149.7</b>    | <b>248.4</b>    |
| შემოსავლები საკუთრებიდან                                                          | 110.5           | 93.6            | 90.0            |
| პროცენტები                                                                        | 51.4            | 45.1            | 40.0            |
| რენტა                                                                             | 59.1            | 48.4            | 50.0            |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                 | 56.6            | 44.0            | 50.0            |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 2.6             | 4.4             | 0.0             |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია                                              | 15.9            | 12.8            | 15.0            |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                     | 15.9            | 12.7            | 15.0            |
| სანებართვო მოსაკრებელი                                                            | 7.9             | 5.3             | 5.0             |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                  | 8.0             | 7.4             | 10.0            |



|                                                   |       |      |       |
|---------------------------------------------------|-------|------|-------|
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი               | 0.0   | 0.0  | 0.0   |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 0.0   | 0.1  | 0.0   |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                | 0.0   | 0.1  | 0.0   |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები                  | 21.5  | 24.6 | 100.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები    | 224.0 | 18.7 | 43.4  |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები 3,623.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                         |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 2,715.9         | 2,992.7         | 27.6                                                  | 2,965.1              | 3,623.5         | 163.2                                                 | 3,460.3              |
| შრომის ანაზღაურება      | 876.0           | 1,047.8         | 0.0                                                   | 1,047.8              | 1,157.0         | 0.0                                                   | 1,157.0              |
| საქონელი და მომსახურება | 966.2           | 955.8           | 0.0                                                   | 955.8                | 1,325.5         | 83.2                                                  | 1,242.3              |
| პროცენტი                | 0.9             | 52.5            | 0.0                                                   | 52.5                 | 30.2            | 0.0                                                   | 30.2                 |
| სუბსიდიები              | 659.7           | 710.3           | 0.0                                                   | 710.3                | 780.6           | 0.0                                                   | 780.6                |
| გრანტები                | 0.0             | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  | 0.0             | 0.0                                                   | 0.0                  |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 114.6           | 112.8           | 27.6                                                  | 85.2                 | 175.6           | 80.0                                                  | 95.6                 |
| სხვა ხარჯები            | 98.5            | 113.6           | 0.0                                                   | 113.6                | 154.6           | 0.0                                                   | 154.6                |

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9,665.8 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9,680.8 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება                                                  | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|-------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება | 30.7            | 50.2            | 60.8            |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება             | 0.0             | 1.2             | 0.0             |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია    | 6,019.5         | 4,062.5         | 9,308.3         |
| განათლება                                                   | 0.0             | 0.0             | 310.0           |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი        | 0.0             | 0.0             | 1.8             |



|          |         |         |         |
|----------|---------|---------|---------|
|          |         |         |         |
| სულ ჯამი | 6,050.2 | 4,113.8 | 9,680.8 |

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 15.0 ათ.ლარი:

| დასახელება                   | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 34.2            | 60.1            | 15.0            |
| ძირითადი აქტივები            | 0.0             | 47.8            | 10.0            |
| მატერიალური მარაგები         | 2.3             | 3.0             | 0.0             |
| არაწარმოებული აქტივები       | 31.9            | 9.3             | 5.0             |
| მიწა                         | 31.9            | 9.3             | 5.0             |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება                                                                                                                      | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|--------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 701                | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება                                                                                      | 1,340.2         | 1,565.6         | 1,781.8         |
| 7011               | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1,335.9         | 1,560.1         | 1,741.0         |
| 70111              | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა                                                          | 1,335.9         | 1,560.1         | 1,719.0         |
| 70112              | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა                                                                                               | 0.0             | 0.0             | 22.0            |
| 7016               | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები                                                                                                 | 0.0             | 0.0             | 35.2            |
| 7018               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში                                                 | 4.3             | 5.5             | 5.5             |
| 702                | თავდაცვა                                                                                                                        | 52.3            | 62.3            | 66.3            |
| 704                | ეკონომიკური საქმიანობა                                                                                                          | 2,568.7         | 2,461.7         | 4,796.3         |
| 7045               | ტრანსპორტი                                                                                                                      | 2,515.6         | 2,461.7         | 4,134.1         |
| 70451              | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები                                                                                                | 2,515.6         | 2,461.7         | 4,134.1         |
| 7049               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში                                                                      | 53.1            | 0.0             | 662.2           |
| 705                | გარემოს დაცვა                                                                                                                   | 1,942.5         | 1,162.3         | 2,152.6         |
| 7051               | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება                                                                               | 191.1           | 254.7           | 308.5           |
| 7052               | ჩამდინარე წყლების მართვა                                                                                                        | 1,751.4         | 907.6           | 1,844.1         |
| 706                | საბინაო-კომუნალური მეურნეობა                                                                                                    | 2,045.4         | 998.7           | 3,068.0         |



|            |                                                                         |                |                |                 |
|------------|-------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|-----------------|
| 7061       | ბინათმშენებლობა                                                         | 0.0            | 0.0            | 10.0            |
| 7062       | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                       | 1,611.4        | 747.8          | 2,736.2         |
| 7063       | წყალმომარაგება                                                          | 271.2          | 64.8           | 133.4           |
| 7064       | გარე განათება                                                           | 162.9          | 186.1          | 188.4           |
| <b>707</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა</b>                                               | <b>30.1</b>    | <b>37.8</b>    | <b>47.1</b>     |
| 7074       | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                                    | 30.1           | 37.8           | 47.1            |
| <b>708</b> | <b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>                                    | <b>514.5</b>   | <b>532.1</b>   | <b>611.8</b>    |
| 7081       | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                              | 118.9          | 137.5          | 152.6           |
| 7082       | მომსახურება კულტურის სფეროში                                            | 303.4          | 295.0          | 342.9           |
| 7083       | ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა                             | 0.0            | 0.0            | 0.0             |
| 7084       | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                       | 92.2           | 99.6           | 116.4           |
| <b>709</b> | <b>განათლება</b>                                                        | <b>160.0</b>   | <b>176.9</b>   | <b>600.6</b>    |
| 7091       | სკოლამდელი აღზრდა                                                       | 160.0          | 176.9          | 207.4           |
| 7096       | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება                                  | 0.0            | 0.0            | 393.2           |
| <b>710</b> | <b>სოციალური დაცვა</b>                                                  | <b>112.4</b>   | <b>109.1</b>   | <b>179.8</b>    |
| 7101       | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა       | 42.8           | 44.3           | 50.0            |
| 71011      | ავადმყოფთა სოციალური დაცვა                                              | 38.0           | 35.9           | 39.0            |
| 71012      | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა                     | 4.8            | 8.4            | 11.0            |
| 7102       | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა                                             | 1.3            | 2.5            | 2.5             |
| 7103       | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა                                  | 4.9            | 5.6            | 6.3             |
| 7104       | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                                  | 28.6           | 29.1           | 35.0            |
| 7107       | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 0.0            | 0.0            | 0.0             |
| 7109       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში             | 34.9           | 27.6           | 86.0            |
|            | <b>სულ</b>                                                              | <b>8,766.1</b> | <b>7,106.6</b> | <b>13,304.3</b> |

#### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 1,721.3 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 1,721.3 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.



### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და თავდაცვა.

#### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა რეაბილიტაცია, ქალაქის დასუფთავება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან, ქ. ონში სანიაღვრე არხების წმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები. პრიორიტეტად განისაზღვრა წილობრივი დაფინანსებით სოფ. ბარი-მრავალძლის გზის და სოფ. ღარის შიდა გზების ასფალტირება, ქ.ონის ტერიტორიის კეთილმოწყობა, სოფელ ლაჩთასა და შეუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და არტუანის უბანში (ნ.ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გ.ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობამდე) და ქ.ონში ვახტანგ VI ქუჩაზე (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. განხორციელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ქ.ონში სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა, ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და 2018 წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

##### 1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. განხორციელდება ადგილობრივი გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, N18 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოების, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. განხორციელდება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია სოფელ ცხმორში, სორგითი-ღუნდაში, ჟაშქვა, ონჭევი, ჭიორა, ღებში, შეუბანში, კვაშხეთი გომამეების უბანში, წოლაში, სორში ბერიშვილების უბანში გადასასვლელის მოწყობის სამუშაო, სოფ. ბარში ჩალაძეების უბანში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, ქ.ონში ზ.ქაფიანიძის II ჩიხის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია და სოფელ ზუდალში სტადიონთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. განხორციელდა სოფელ ღებში თევრემოსკენ მიმართულებით ადგილი "კოდუნეები" მეწყერული მოვლენების გააქტიურების შედეგად ჩაკეტილი გზების წმენდის სამუშაოები. განხორციელდება წილობრივი დაფინანსებით სოფ. ბარი-მრავალძლის გზის და სოფ. ღარის შიდა გზების ასფალტირება და სოფელ ლაჩთასა და შეუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 2018 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად განხორციელდება სამუშაოები და 2018 წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა სასოფლო გზების და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

##### 1.2. საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, რითაც ბიუჯეტიდან მოხდება წილობრივი დაფინანსება.



### 1.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის როგორც ქალაქად, ისე სოფლად, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ტექნიკური მომსახურება და შესრულება სოფელ ცხმორში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

### 1.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. განხორციელდება მაწანწალა ძაღლების პრევენციული ღონისძიებები.

### 1.5. საკანალიზაციო სანიაღვრე სისტემის, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების წმენდა და 2018 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად განხორციელდება სამუშაოები. 2018 წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი გაბიონების, კალაპოტის წმენდის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები იქნება შესრულებული. განხორციელდება თანამონაწილეობით არტუანის უბანში (ნ.ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გ.ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) და ქ.ონში „ვახტანგ VI ქუჩაზე“ (მდ. რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. განხორციელდება სოფელ ღებში ჭალების უბანში და სოფელ უწერაში მდინარე მუშუანზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრის რეაბილიტაციის სამუშაო.

### 1.6. წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ გლოლაში, კომანდელში, ქვედში, უწერაში (ჟამიერეთის უბანში), გომში და ჯინჭვისში წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაო და სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკური მომსახურება. 2018 წელს აღებული ვალდებულებების შესაბამისად განხორციელდება სამუშაოები და შესრულება 2018 წელს სტიქიის შედეგად სოფ. ღარში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

### 1.7. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში არსებულ საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობაა, რომელიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. დაფინანსდება სოფ.პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა; საინჟინრო, სამშენებლო, საზედამხედველო, ტექნიკურ მომსახურება. გამოცხადდება შესყიდვა საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურებაზე. მოხდება ქალაქ ონში გვანცა დედოფლის აღმართზე ყოფილი ბავშვთა თავშესაფრის შენობის, სოფელ ქვედში სკოლის ტერიტორიის, ყოფილი პირველი სკოლის, ყოფილი სოფტექნიკის მიმდებარე ტერიტორიის, ბერშევას სახელობის პარკის და მ.ღებანიძის ქუჩის სანაპირო ზოლის საყოფაცხოვრებო და სამშენებლო მასალებისაგან წმენდითი სამუშაოები. განხორციელდება ქ.ონში საბავშვო ბაღში დაზიანებული წყალარინების ქსელისა და სამუსიკო სკოლის გარე სველი წერტილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ლაჩთაში და ნიგაზებში მინი სტადიონების რეაბილიტაცია, ქ.ონში დემეტრე მეორის მოედანზე საზოგადოებრივი სარგებლობის სველი წერტილის მიმდინარე სამუშაოები და შესრულება წილობრივი დაფინანსებით ქ.ონის ტერიტორიის კეთილმოწყობა. განხორციელდება ქალაქში სკვერების, გაზონების და ყვავილნარების მოვლა-პატრონობა, ზეხმელი და ავარიული ხეების გეგმიური ფორმირება. განხორციელდება ქ.ონში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა, ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების მშენებლობა სოფლებში ხირხონისი, ლავანთა, ღარი და ნიგვზნარა, სოფელ უწერაში არსებული ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია სოფელ შქმერში და სოფელ ქვედში, ასევე 12 საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ქვედში მოხდება სოფელ პიპილეთში მინერალური წყლის ფანჯატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაო. ქ.ონში მოედნის ქუჩაზე არსებულ სკვერში ტრენაჟორების მოწყობა. დასრულდება 2018 წელს აღებული



## **1.8. ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა პროგრამული კოდი 03 04)**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით შესაბამისი სამუშაოების შესრულება, კერძოდ: სოფ. ნიგავეზებში, ნაკიეთში, ბორცოში, წმენდაურში, შეუბანში, ჭალაში, ხურუთში, წოლაში, სომიწოში, ბაჯიხევში, ქვედში, სხანარში, ხეითში, ზვარეთში, ახალჩორდში, ქვებარში, გადამში და სამთისში შიდა სასოფლო გზების, სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია; სოფ. გლოლაში, უწერაში, ფარავნეში, მაჭიეთში, ღარში, შეუბანში, ნიგვზნარაში, წოლაში, ხირხონისში, პიპილეთში, ღუნდაში, ფსორში, ირში, ფარახეთში, შარდომეთში, სევაში, სორში, ზემო ბარში, ქვემო ბარში და უმოლთაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. დიდ ღებში, პატარა ღებში, ჭიორაში, საკაოში, ხიდელში, ლაგვანთაში, ლაჩთაში, ჭალაში, ხურუთში, კომანდელში, ქრისტესში, ხირხონისში, ქორთაში, ონჭევში, სორგითში, ცხმორში, წედისში და კვაშხიეთში თავშეყრის ადგილის-სარიტუალო დარბაზების მოწყობა; სოფელ გომში, ჯინჭისში, მაჭიეთში, ბორცოში, წმენდაურში, სომიწოსში, პიპილეთში, ჟამქვაში, ონჭევში, ღუნდაში, ფსორში, სხანარში, ახალჩორდში, შქმერში, ხარისთვალში, უმოლთაში და მრავალძალში გარე განათების მოწყობა; სოფ. ქვედრულაში, ზუდალში და ბოყვაში სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელ ხარისთვალში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა და სოფელ ღარში სველი წერტილის მოწყობა.

## **1.9. ა(ა)იპ გამწვანების სამსახური (პროგრამული კოდი 03 05)**

განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გამწვანების ობიექტების მოწყობა-მოვლა-პატრონობა, ზეხმელი და ავარიული ხეების გეგმური ფორმირებები, არსებული სკვერების, გაზონების, ფერდობებისა და ყვავილნარების მოვლა-პატრონობა.

## **2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე მიმდინარე წლიდან ხორციელდება საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

### **2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 100 ბავშვი და დაქვემდებარებაშია ალტერნატიული ჯგუფი სოფ. გლოლაში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.

### **2.2. საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ღებში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

## **3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ქვეპროგრამები ითვალისწინებს ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

### **3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

### **3.1.1. ბავშთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი (პროგრამული კოდი 05 01 03)**

2019 წელს პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სადაც დაკავებულია მუნიციპალიტეტის 115-მდე სპორტსმენი ფეხბურთის, კალათბურთის და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

### **3.2. კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### **3.2.1. ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

